პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების

ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის
კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

147 (1142) | კვირა, 22 აგვისტო 1926 წ. | 147 (1142)

## ცვალებადელო, ემზადე საერთო ტერშეკრებისათვის.

სულ ათიოდე დღე დარჩა საერთო ტერშეკრებამდე. პირველ სექტემბრიდან ცვალებადელები მოვლენ წითელ ყაზარმაში, რომ ერთი თვის განმავლობაში გაიარონ საბრძოლო მომზადების განსაზღვრული კურსი.

ყოველ ცვალებადელს, რომელიც უკვე მეორეჯერ გადის ტერშეკრებაზე სავსებით შეგნებული უნდა ჰქონდეს თუ რა დიდ როლს თამაშობენ ტერიტორიალური შეკრებები საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

ამიტომაც ცვალებადელის პირდაპირ და ძირითად მოვალეობას შეადგენს მთელი თავისი ენერგიით და ძალით ხელი შეუწყოს ტერშეკრების ნაყოფიერად ჩატარებას.

როგორ? რა ნაირად?

პირველ ყოვლისა ის აქედანვე უნდა მოემზადოს ტერშეკრებაზე გასასვლელად—გაიმეოროს ის რაც შეიძინა წარსულ ტერშეკრებებზე და შეკრებათა შორის მუშაობის დროს სამხედრო კუთხეებსა თუ სამხედრო ცოდნის წრეებში.

მეორე, ცვალებადელნი მოვალენი არიან თავის დროზე, უკლებლივ, როგორც ერთი, ყველანი გამოცხადდენ ტერშეკრებაზე და მით ხელი არ შეუშალონ შეკრების ნორმალურ მსვლელობას.

მესამე, მოვლენ თუ არა ტერშეკრებაზე იმ თავითვე მთელი თავისი ენერგიით, გულმოდგინეობით და სერიოზულობით მოეკიდონ სამხედრო სწავლებას და თავდადებული სწავლით უზრუნველყონ საერთო შეკრების დიდი ნაყოფიერობა.

მხოლოდ გაძლიერებულ, გულმოდგინე მეცადინეობას შეუძლია მოიტანოს კარგი ნაყოფი ერთ თვეში. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერშეკრება ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს, რაც სრულიად არ არის სასურველი.

პირიქით დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა გვავალებს, რაც შეიძლება მეტის წარმატებით ჩავატაროთ საერთო შეკრება. ამ უკანასკნელ ხანებში იარაღის ჟღარუნი გახშირდა ევროპაში. პოლონელების სამხედრო სამზადისი ჩვენს საზღვარზე, მისი სამხედრო კავშირი რუმინეთთან და ბოლოს ცილისწამების და პროვოკაციის ახალი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყოველივე ეს ნათლად გვიკარნახებს ჩვენ ერთი ორად განვამტკიცოთ ჩვენი სამხედრო ძლიერება, მაღლა ავსწიოთ წითელი ჯარის საბრძოლო უნარი.

და ყოველი ცვალებადელი მოვალე არის მთელი თავისი ძალღონით და ენერგიით აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის განმტკიცებაში.

ამას ის შეასრულებს მაშინ, როცა თავის დროზე გამოცხადდება ტერშეკრებაზე და მუყაითი, თავდადებული ერთთვიანი სწავლებით ხელს შეუწყობს საერთო შეკრების ბრწყინვალედ ჩატარებას.

ამხანაგო ცვალებადელო, მტკიცედ გახსოვდეს ყოველივე ეს!

ემზადე საერთო ტერშეკრებისათვის!

## დრო არ ითმენს!

მანევრები დაიწყო. ჩვენი ნაწილები ჯამს უკეთებენ მთელ ჩატარებულ სწავლებას, აბარებენ გამოცდას საბრძოლო მომზადების დარგში. აქ ზედმეტია ლაპარაკი მანევრების მნიშვნელობის შესახებ. ამაზე ბევრი დაიწერა და ითქვა და ყოველი მეომრისთვის ეს კითხვა ნათელი უნდა იყოს.

ნათელი უნდა იყოს აგრეთვე ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მანევრების მსვლელობის დროს მის გაშუქებას. მაგრამ ჩვენი სამხკორები სდუმან, კვლავ რჩებიან განზე წითელი ჯარის ცხოვრებას, უფრო გარკვეულად რომ ვსთქვათ, არ სწერენ იმის შესახებ თუ როგორ ტარდება მანევრები. რა მიღწევებია? რა ნაკლია? როგორია მანევრების პირობები? რა მომზადებას იჩენენ ცალკე მეომრები თუ ცალკე ნაწილები? და სხვა. ამის შესახებ ჯერ ერთი მონაწერიც არ მოსვლია რედაქციას. ეს დაუშვებელია. სამხკორთა მუშაობა მანევრების დროს ერთი ორად უნდა გაიზარდოს, მისი მნიშვნელობა მეტის მეტად დიდია ამ პერიოდში. მანევრები წრეულს თავის დროზე და შინაარსიანად გაშუქებულ უნდა იქნას. დროა (თუ გვიან არაა) ეს ჭეშმარიტება შეიგნონ ჩვენმა სამხკორებმა და დაკარგული დრო აანაზღაურონ შემდეგი გაძლიერებული მუშაობით.

მანევრების პერიოდი მეტად მცირეა. ყოველგვარი დაყოვნება მიუტოვებელ შეცდომას უდრის.

დროა ჩვენმა სამხკორებმა დაიწყონ კორესპონდენციების გამოგზავნა რედაქციაში მანევრების მსვლელობის შესახებ. შესაძლებელია ისინი სწერენ უკვე და მათი წერილები ვერ აღწევენ რედაქციას. ამის შესახებ თვით სამხკორებმა უნდა იზრუნონ. მათ ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ რედაქციაში გაგზავნილი წერილი დაუგვიანებლად მივიდეს იქ.

მანევრებთან ერთად მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებაში—ეს შვებულთა მომზადებაა. ამ მომენტის გაშუქებასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება სამხკორთა მხრივ. უფრო მეტად ეს ეხება იმ ნაწილების სამხკორებს, რომლებიც არ გავიდენ მანევრებზე. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ფართედ მოთხრობილ უნდა იქნას, თუ როგორ ემზადებიან შვებული წითელ არმიელები მომავალი მუშაობისათვის სოფლად. რა კეთდება შვებულთა მომზადებისათვის ნაწილში? როგორ ემზადებიან შვებულები? როგორი გეგმაა გამომუშავებული? როგორია ამ მზადების ნაყოფი? და სხვა მრავალი. აი რა უნდა სწერონ ამჟამად სამხკორებმა. აქაც დრო არ ითმენს და დაყოვნება ყოვლად დაუშვებელია.

ასეთია ორი დამკვრელი ამოცანა სამხკორთა მუშაობის.

სამხკორები მოვალენი არიან დაუყონებლივ პირნათლად შეასრულონ ეს ამოცანები.

დრო არ ითმენს.

—ე.

# ინგლისის მაღაროს მუშებმა გადასწყვიტეს განაგრძონ ბრძოლა გამარჯვებამდი.

## დრუზები კვლავ განაგრძობენ ბრძოლას ფრანგების ბატონობის წინააღმდეგ

**23 აგვისტოს ბერლინში მოწვეულია ინგლის—რუსეთის გაერთ. კომიტეტის სხდომა**

## მოლაპარაკება შეწყდა

19 აგვისტოს მოხდა ინგლისის მთა-მადნის მუშათა და მაღაროს პატრონების წარმომადგენელთა კრება. მუშებმა მოითხოვეს, რათა მაღაროს პატრონებმა უარჰყონ სამუშაო დღის გაგრძელების წინადადება და დადებულ იქნას ხელშეკრულება სამუშაო ხელფასზე სრულიად ინგლისის ფარგლებში. მაღაროს პატრონების წარმომადგენლები ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდენ.

კრებაზე განხეთქილება მოხდა მეპატრონეებისა და მუშების წარმომადგენლებს შორის. მუშები ერთხელ კიდევ დარწმუნდენ, **რომ კაპიტალისტებთან ლაპარაკი ზედმეტია, რომ მათ მოუტანს გამარჯვებას მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლა.**

**მთა-მადნის მუშათა კავშირის აღმასკომმა მოუწოდა მაღაროს მუშებს შეამჭიდროვონ რიგები და განაგრძონ გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ.**

## თავდასხმა კუკზე

გერმოფოლდში, ინგლისის მთა-მადნის მუშათა კავშირის ხელმძღვანელს—კუკს თავს დაესხა ბურჟუაზიის მიერ დაქირავებული პირები. კუკი ბრუნდებოდა მიტინგიდან, სადაც მან მოუწოდა მუშებს გაფიცვებზე დასახმარებლად. თავდასხმა უშედეგოდ ჩაიარა, ვინაიდან კუკი გააცილა სადგურამდე რკინის გზის მუშებმა. დაიჭრა მხოლოდ მთავარ საბჭოს წევრი უორკერი, რომელიც ახლდა კუკს.

## ინგლის-რუსეთის კომიტეტის სხდომა

23 აგვისტოს ბერლინში მოწვეულია ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომა. დღის მთავარი საკითხია პროფსაბჭოს წინადადება ინგლისის მაღაროს გაფიცულ მუშათა დახმარების შესახებ.

წინა სხდომაზე, როგორც ვიცით, ინგლისის მთავარ საბჭოს დელეგაციამ უარი განაცხადა ამ საკითხის გარჩევაზე.

## დრუზები განაგრძობენ ბრძოლას

დრუზების ბრძოლა კვლავ გრძელდება სირიაში (საფრანგეთის ახალშენი). დრუზებს ეხმარება ფარული სარევოლიუციო კომიტეტი, რომელიც ურჩევს დრუზებს გამაგრდენ, სანამ ბეირუთში დაიწყებოდეს აჯანყება. საფრანგეთის მძიებელი პოლიცია გაცხარებით ეძებს ფარულ სარევოლიუციო კომიტეტს.

## იტალია-რუსეთის საკრედიტო ბანკი.

იტალიის დეპეშათა სააგენტო აცხადებს, რომ იტალიის მთავრობის თვალსაზრისით, საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა იმდენად მტკიცეა, რომ მთავრობის წრეებში სწარმოებს მოლაპარაკება იტალია-რუსეთის საკრედიტო ბანკის დაარსების შესახებ.

ბანკი ხელს შეუწყობს იტალიის საქონლის გასაღებას საბჭოთა კავშირში და მასთან უკანასკნელს შეუმსუბუქებს იტალიის ბაზართან კავშირის აღდგენას.

## ჰაეროპლანების დაღუპვა

უკანასკნელ კვირის განმავლობაში პოლონეთში დაიმსხვრა ხუთი სამხედრო ჰაეროპლანი.

## საბჭოთა კავშირში მოსწავლეთა წვევამდე მომზადება

ცაკის პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო შემოღებულ იქნას, ახალი სამოსწავლო წლიდან, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში მოსწავლეთა უმაღლესი წვევამდე სამხედრო მომზადება.

## უცხოელი დელეგაციები

**ინგლისის მუშათა დელეგაცია**

ლენინგრადში ჩამოვიდა ინგლისის მუშათა დელეგაცია, რომლის მიზანია გაეცნოს საბჭოთა კავშირის მუშათა ცხოვრებას და გააცნოს მუშებს ინგლისის მთა-მადნის გაფიცულ მუშათა მდგომარეობა.

**ბელგიის დელეგაცია**

სევასტოპოლში ჩამოვიდა ბელგიის მუშათა დელეგაცია. დელეგაციამ დაათვალიერა საზღვაო ქარხანა და გაეცნო წითელ ფლოტელთა ცხოვრებას.

**ჰოლანდიის დელეგაცია**

23 აგვისტოს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ჰოლანდიის მუშურ ახალგაზრდობის დელეგაცია 6 წევრის შემადგენლობით.

## ახალი კანონპროექტი

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის ძალით აკრძალულია ყველა სახლებში, გარდა სახელმწიფო დაწესებულებათა შენობების, იძულებითი გამოსახლება და ჩასახლება.

## ექსპედიციის დაღუპვა

ტურგაის უდაბნოში დაიღუპა ყაზახის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ექსპედიცია.

ექსპედიციაში იყო სამი კაცი.

# საქართველოში.

**ნავთის ადგილების გამოკვლევა**

სუფსაში (ოზურგეთის მაზრა) ჩავიდა სამეცნიერო კომისია, რომელიც შეუდგა ნავთის წყაროების გამოკვლევას.

**საბინაო აღმშენებლობა ძლიერდება**

ა. კ. მებამბეობის კომიტეტის თანამშრომლებმა დაარსეს ტფილისში საბინაო ამხანაგობა. ამხანაგობის მიერ აგებული იქნება 10 სახლი ვაკეში, კრამიტის ქარხნების მახლობლად. თვითეული სახლი დაჯდება არა უმეტეს 8.000 მანეთისა.

**ჩვენი მრეწველობა იზრდება**

**გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა**

მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანა ნაწილობრივად უკვე შეუდგა მუშაობას. რამოდენიმე კვირაში მთელი ქარხანა ამუშავდება.

ქარხანა ყოველდღიურად დაამზადებს 600 ვენურ სკამს და სხვა ავეჯეულებს—ხის ლოგინებს, სუფრებს და სხვა. ქარხნის ამუშავებით პირველ ხანებში გრეხილი ავეჯეულობა გაიაფდება 30 40 პროცენტით. ქარხანაში იმუშავებს სამასი მუშა ადგილობრივ მოსახლეობიდან.

## ცხენთა გადარბენა

**ლეტპარიდან მესტიასკენ**

ტფილისიდან გამოსვლის მე 8 დღეზე, 19 აგვისტოს ცხენთა გადარბენის მონაწილენი გასცილდენ ლატპარის უღელტეხილს და დაეშვენ მესტიასკენ.

**ცხენების მდგომარეობა**

ცხენები ოდნავ გახდენ, მაგრამ სავსებით მხნედ არიან. გადარბენის დროს გამოეთიშა რიგებს, ფლოქვის გაფუჭების გამო, საჩხერეში, ერთი ყაბარდოს ჯიში და ერთიც „ვენგერკა“, რომელმაც იტკინა მუხლი ჩოლურის ხიდიდან გადავარდნის დროს.

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐ.

**Კ. Წ. Დ. ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ № 181, 6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1926 Წ.**

§ 1. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ა. წ. № 367 ბრძანების მიხედვით, არმიის ყველა ნუმერულ და ეროვნულ ნაწილების, სამმართველოებისა და დაწესებულებების უფროსები შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას შემდეგი კატეგორიების სამხედრო მსახურთა გრძელვადიან შვებულებაში გასათავისუფლებლად:

1. არმიის ყველა ნაწილებიდან, სამმართველოებიდან და დაწესებულებიდან გათავისუფლებულ იქნან 1902 წელში დაბადებული და 1924 წლის შემოდგომაზე გაწვეული ვადით მსახური [უმცროს მეთაურთა და რიგის შემადგენლობა, რომელთაც ეხებოდათ ორი წლის ვადით სამსახური.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს მუხლი ვრცელდება №№ კორპუსის საავიაციო რაზმისა და მუდმივი ავიაბაზის იმავე კატეგორიის პირებზე, გარდა 1902 წელში დაბადებულ სპეციალისტებისა, რომლებსაც არ ეხებათ გათავისუფლება, როგორც სამი წლის ვადით მსახურთ.

2. 1902 წელში დაბადებული და 1924 წლის გაზაფხულზე გაწვეული მჭედლები და გადამწერნი.

3· 1903 წელში დაბადებული და 1925 წელში გამოწვეული ვადით მსახური პირები, რომელთაც გაუთავებიათ უმაღლესი სასწავლებლები, მუშფაკები, მეორე საფეხურის სკოლები, გადიან სამსახურს „სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის“ 142—152 მუხლების თანახმად და ჩაუბარებიათ გამოცდა მ. გ. წ. არმიის თადარიგის მეთაურთა თანამდებობაზე.

4. გათავისუფლებულ იქნან შევსების ნორმალურ გეგმაზე გადასვლის მიზნით.

ა) ქართული ნაწილებიდან ყველა, 1902 წელში დაბადებული და 1925 წლის გაზაფხულზე გაწვეული ვადით მსახური უმცროს მეთაურთა და რიგის შემადგენლობის პირები;

ბ) არმიის ნაწილებიდან, სამმართველოებიდან და დაწესებულებებიდან—1902 წელში დაბადებული და 1924 წლის შემოდგომაზე გაწვეული მჭედლები და გადამწერნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვინაიდან მხედველობაში მიღებულია 1903 წელში დაბადებულ ვადით მსახურთა კონტინგენტის რაოდენობა არმიის ნაწილებში, აღნიშნულ კატეგორიის პირთა ვადამდე გათავისუფლება მოხდება მხოლოდ ცალკე შემთხვევებში, რაც ყოველმა მეთაურმა და უფროსმა ეხლავე აუხსნან ყველა წითელარმიელებს.

§ 2. სკპ(ბ) და სლკკ-ს წევრები გათავისუფლებულ იქნან საერთო საფუძველზე მათ თანაბარ ჰასაკის პირებთან ერთად.

§ 3. როგორც წესი, გათავისუფლება სწარმოებდეს გასათავისუფლებელთა გაწვევის ადგილების მიხედვით. ის პირები, რომელთაც არ სურთ გათავისუფლება მათი გაწვევის ადგილებზე, თავისუფლდებიან მათ მიერ არჩეულ საცხოვრებელ ადგილების მიხედვით, სანაპირო ხაზისა და იმ ადგილების გამოკლებით, რომლებიც დატვირთული არიან უმუშევრებით; ის პირები, რომლებიც გაწვეული არიან არა ამ ადგილებში, შეიძლება გათავისუფლებულ იქნან იქ, თუ რომ წარმოადგენენ საბუთებს, რომ ამ ადგილებში მათ აქვთ ნათესაური ან და შრომის კავშირი.

უმუშევრებით დატვირთულ ადგილებად ითვლება: მოსკოვი, ლენინგრადი, ვლადივოსტოკი, ამიერკავკასია, თურქესტანი, ხარკოვი, კიევი, ოდესა, ეკატერინოსლავი და სტალინო.

ამ პარაგრაფის ასრულებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, ვინაიდან ამ წესზე გადახვევამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1925 წელში გათავისუფლების დროს, მძიმე პირობებში ჩააყენა გათავისუფლებული უმუშევრები, რომლებმაც თავი მოიყარეს აღნიშნულ ქალაქებში.

§ 5. გათავისუფლება დაიწყოს ერთსა და იმავე დროს არმიის ყველა ნაწილებიდან, სამმართველოებიდან და დაწესებულებიდან განსაზღვრული მიმართულებით, არმიის სამხედრო მიმოსვლის უფროსის გადასაყვან გეგმის მიხედვით, მაგრამ დაცულ უნდა იქნას შემდეგი თანდათანობა:

1) პირველ რიგში 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდი გათავისუფლებულ იქნან ყველა, ვისაც გათავისუფლება ეხება, გარდა ტერნაწილების კადრების, ადგილობრივ მსროლელ ჯარების, № კორპუსის საავიაციო რაზმის და ჰოსპიტლებიდან, სამხედრო სკოლებიდან და საწყობებიდან გასათავისუფლებელთა 75 პროცენტისა.

2) მეორე რიგში—ახალწვეულთა მოსვლისას—მაგრამ არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა, გათავისუფლებულ იქნან სრულიად ტერნაწილების კადრიდან, დარჩენილი 75 პროცენტი საწყობებიდან, ჰოსპიტლებიდან და სამხედრო სკოლებიდან და 50 პროცენტი № კორპუსის საავიაციო რაზმიდან.

3) მესამე რიგში, ახალწვეულთა მოსვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ა. წ. 15 დეკემბრისა, გათავისუფლებულ იქნან სრულიად ტფილისის ცალკე ადგილობრივ მსროლელ ათასეულიდან, ბაქოს ადგილობრივ მსროლელ ოცეულიდან და დარჩენილი 50 პროცენტი № კორპუსის საავიაციო რაზმიდან.

§ 6. გრძელვადიან შვებულებაში გათავისუფლება სწარმოებდეს მხოლოდ ნაწილების საზამთრო სადგომებიდან.

§ 15. გრძელვადიან შვებულებაში მიმავალნი დაკმაყოფილებულ იქნან დღიური ფულით სრულად, რამდენიც საჭიროა საცხოვრებელ ადგილზე მისვლამდი; დღიური გამოანგარიშებულ უნდა იქნას დაწესებულ ვადის მიხედვით, რამდენიც უნდება მანძილის გავლას.

დღიური ფული სულზე დაწესებულია 25 კაპიკის რაოდენობით.

§ 16. გათავისუფლებულთა ეშელონებისა და გუნდების დასაკმაყოფილებლად რკინის გზაზე, არმიის სამხედრო მიმოსვლის უფროსის განკარგულებით, ა. წ. 15 სექტემბრისთვის, სადგურ ბალაჯარასა და ნავთლუღში გახსნილია სამხედრო-სასურსათო წერტები; არმიის მომარაგების უფროსმა მიიღოს ყოველგვარი ზომა, რათა დაუბრკოლებლად და თავის დროზე მოამარაგოს აღნიშნული წერტები ყოველგვარი სასურსათო კმაყოფითა და პურით.

§ 18. 1902 წელში დაბადებულ წითელარმიელთაგან, (რომელთაც გათავისუფლება ეხებათ) სოფლის მომუშავეთა მოსამზადებლად, ჯარის ნაწილებმა, დივიზიების (ბრიგადის, სპეციალურ ჯარების), პოლიტგანყოფილებების მითითებით მოაწყონ კურსები რესპ. პოლიტსამმართველოს ა. წ. 13 ივლისიდან გამოცემულ № 83 ბრძანების მიხედვით.

წითელარმიელები, რომლებიც გამოსთქვამენ აღნიშნულ კურსებზე მეცადინეობის სურვილს, გათავისუფლებულ იქნან ყოველგვარ სამწყობრო და პოლიტიკურ მეცადინეობისაგან კურსების გავლის პერიოდში.

ნაწილის მუშაობის ხასიათის და პირობების მიხედვით შეიძლება ჩატარდეს აღნიშნული კურსები ორ რიგში' იმ ანგარიშით, რომ ერთ რიგში მომეცადინე წითელარმიელთა რიცხვი ყველა კურსებზე არ აღემატებოდეს 80 კაცს ლეგიონში და 15—20 კაცს—ცალკე ასეულში (ესკადრონში).

§ 20. გზაში, გათავისუფლებულთა მიმართ პოლიტსამსახურის გაწევისთვის, სადგურ ბალაჯარასა და ნავთლუღში გახსნილ იქნას სააგიტაციო წერტები.

§ 21. გასათავისუფლებელთა შორის მოხდეს წინასწარი გასინჯვა და გამოყოფილ იქნან მალარიით, ტრახომით, ვენერიულ ავადმყოფობით შეპყრობილნი და სიფილისიანები, რომელთაც შეუძლიათ გადასდონ სხვებს ეს ავადმყოფობანი და ჩატარებულ იქნას მათ მიმართ სისტემატიური მკურნალობა მათი მდგომარეობისდა მიხედვით—სტაციონარულად ან ამბულატორიულად.

თუ რომ გათავისუფლებისას ვინმე აღმოჩნდება მაგარი უვერტრიტით, სიფილისით ავადმყოფი—გადამდებ პერიოდში და ახალ შეყრილი ტრახომით—ასეთები ნაწილებიდან არ იქნან გათავისუფლებულნი, არამედ გაიგზავნონ სამხედრო ჰოსპიტლებში.

§ 23. გათავისუფლებულნი მომარაგებულ იქნან პირადი წიგნაკებით, სადაც აღნიშნულ იქნას აუცილებლობა გამოცხადებისა საალრიცხვო ორგანოებში, არჩეულ საცხოვრებელ ადგილის მიხედვით არა უგვიანეს 6 დღისა, დღიდან მგზავრობის ვადის გასვლისა, რაც აღნიშნული იქნება სამგზავრო მოწმობაში.

§. 24. გათავისუფლება აუცილებლად დასრულებულ იქნას ამა ბრძანების § 5-ში აღნიშნულ ვადებში.

§ 26. ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულებში, გუნდებში, ესკადრონებსა და ბატარეებში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: სსრკ-ს რევსამხსაბჭოს ბრძანება № 367, 1926 წ.

არმიის სარდალი

**ლევანდოვსკი.**

რევსამხსაბჭოს წევრი

**ზალუცკი.**

# ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ--ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐ

## ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ.

ბანაკად ზოგიერთ ნაწილებში, ტაქტიკური მეცადინეობის გარჩევის დროს, მეომრები სცდილობდენ დაემტკიცებიათ ერთმანეთისათვის, რომ „გამარჯვება ჩვენს მხარეზე იყოო“. ეს მავნე განხრა შემჩნეულია მანევრებზედაც.

მეცადინეობასა და მანევრებზე ჩვენ გამოვდივართ არა ერთი ნაწილის მეორეზე გასამარჯვებლად, არამედ სერიოზულ სწავლებისთვის დიდ შეერთებულებათა შემადგენლობაში. ამიტომ არასოდეს არ უნდა გაგვიტაცოს ქიშპობამ და არ უნდა შევეჯიბროდ ერთმანეთს „მამაცობაში“, ვინაიდან მანევრებზე მეომარს მოეთხოვება პირველყოვლისა პირობების დაცვა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება გავერკვეთ ამათუიმ შეცდომაში და ვისწავლოთ მუშაობა ისე, რომ შემდეგში ის არ გავიმეოროდ.

რა პირობები უნდა იქნას უმთავრესად შესრულებული?

ავიღოთ მაგალითად თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი. ამათ ვაზნები მეომარმა უნდა დახარჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ამას მოითხოვს გარემოება (შეტევა, შეხლა, სადარაჯოში და სხვა). ამაოდ სროლა, ე. ი. უმიზნოდ, არამც თუ საჭირო არაა, არამედ ბოროტებაა, ვინაიდან თვითეული უმიზნოდ გასროლილი ვაზნა ზედმეტი ხარჯია რესპუბლიკისთვის.

მანევრებზე სროლა სწარმოებს შემდეგი წესით: შაშხანით—არა უახლოეს 50 ნაბიჯისა მტრისაგან და არტილერიით არა უახლოეს 300 ნაბიჯის. ამ პირობის დაცვა აუცილებელია იმიტომ, რათა ადგილი არ დაურჩეს უბედურ შემთხვევას. წარსულში იყო შემთხვევა, როცა შეტევის დროს მსროლელები მიდიოდენ ერთმანეთზე 2-3 ნაბიჯზე და გაიძახოდენ: „მე შენ მოგკალო“.

შეტევის დროს ქვეითი ჯარი ჩერდება 10 ნაბიჯზე მოპირდაპირესთან, ხოლო ცხენოსანი—75 ნაბიჯზე.

გარდა ამ პირობებისა აუცილებლად დაცულ უნდა იქნას აგრეთვე ტყვეს ჩაგდების პირობები. ჯერ კიდევ ბანაკად მეცადინეობის დროს ბევრ მეომარს იტაცებდა ტყვეების ხელში ჩაგდება და ავიწყდებოდათ ძირითადი ამოცანა—ადგილმდებარეობის გამოყენება სროლისა და დაფარვისთვის, ცეცხლი—წინ წასაწევად, ძიება, დაცვა და შესწავლა შეერთებულ ნაწილების შემადგენლობაში მოქმედებისა. სწორედ ასეთივე ამოცანებია მანევრებზედაც. თვითეულ მეომარს უნდა ახსოვდეს, რომ „ტყვედ“ ჩაგდება დასაშვებია მხოლოდ დიდ შეერთებულებათა მოქმედების დროს. ცალკე მეომრებს, თარეშებსა და მზვერავებს ტყვედ ჩაგდება ეკრძალებათ.

ამრიგად მანევრებზე ჩვენ უნდა დავიცვათ აუცილებელი პირობები და ვისწავლოთ. ხოლო საკითხს—თუ ვინ დაუშვა შეცდომები ან ვინ გაიმარჯვა,—გაარჩევენ მანევრებზე სპეციალურად დამსწრე მოსამართლენი.

ს—ი.

# ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ომში ხშირად ხდება, რომ ორივე მოპირე აწარმოებს შეტევას ერთი-მეორეზე. ასეთ ბრძოლას ეწოდება შეხვედრითი ბრძოლა. ჩვეულებრივ შეტევითი ან მოგერიებითი ბრძოლასთან შედარებით, შეხვედრითი ბრძოლას დიდი სიძნელენი დასდევს. ეს სიძნელენი მდგომარეობს იმაში, რომ გარემოება მეტ შემთხვევაში გაურკვეველია და ძნელდება მტრისადმი თვალთვალი.

ამიტომ ცნობა მოპირდაპირის შესახებ მეტ შემთხვევაში ზოგადია და მტერთან შეხებამდის არ შეიძლება ბრძოლის განსაზღვრული გეგმის დასახვა. შეხვედრითი ბრძოლა მოითხოვს კარგად მოწყობილ ძიებას, რომელიც დაწვრილებით უნდა ჰკრებდეს ცნობებს შემოტევაზე გადმოსულ მტრის შესახებ და,—მეორეს მხრივ მოითხოვს გამოცდილებით მიდგომას მტერზე.

შეტევაზე გადასულ ათეულმა უნდა გაიაროს ორი საშიში საფეხური: არტილერიისა და შემდეგ ტყვიამფრქვევის ცეცხლის ზოლები. მტერთან მიახლოებით თანდათან ძნელდება წინსვლა. იმისათვის, რომ მეომრები უბრალოდ არ დაიღუპონ, ხელის ტყვიამფრქვევთა ათეული თავისი ცეცხლით მიიზიდავს მტრის ყურადღებას, ხოლო ამ დროს მსროლელი ათეული წაიწევს წინ.

წაიწევენ თუ არა 500 ნაბიჯზე, მსროლელები გახსნის ცეცხლს უფრო საშიშ მიზნებზე: მტრის ტყვიამფრქვევებზე და საუკეთესო მსროლელთა ჯგუფებზე.

ცეცხლის წარმოებაში ათეული განაგრძობს წინ მოძრაობას მანამ, სანამ იშოვიდეს მტრის ფრთებზე შემოვლის საშუალებას.

200-250 მეტრის მანძილზე უკვე ჯგუფთდებიან მეთაურის გარშემო იერიშისთვის. თუ იერიში წარმატებით ვერ დამთავრდა, ის კვლავ განმეორებულ უნდა იქნას ძველი პოზიციიდან.

კ—სი.

# ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲝᲛᲕᲐ

**მარტივი ხერხი**

უნდა აირჩიო მინდვრად ისეთი საგანი (ხე, ქოხი და სხვა), რომელიც ხშირად გხვდება, დადგე განსაზღვრულ მანძილზე მისგან; შემდეგ უნდა მიუახლოვდე 50—100 ფეხის ნაბიჯზე და დაუკვირდე—რა ცვლილება ემჩნევა საგანს სიდიდისა და მოხაზულობის მხრივ.

ასეთი ცდა, რაც შეიძლება, ხშირად უნდა გაიმეორო სხვა და სხვა გარემოებაში, ეცადო—დაიმახსოვრო ან ჩაიწერო შთაბეჭდილებანი და ამ შთაბეჭდილებათა შეფარდებით გამოიმუშავო ერთგვარი მხედველობითი გამოცდილება.

ცოცხალ მიზნამდი მანძილის გასაზომავად, ნორმალური მხედველობის ადამიანს, მოწმენდილ ამინდში, შეუძლია იხელმძღვანელოს შემდეგი ნიშნებით:

1.500 ფეხის ნაბიჯზე ძნელი გასარჩევია ქვეითი ჯარი ცხენოსნისაგან. 1.000 ნაბიჯზე—შესამჩნევია სირბილით ან ნაბიჯით მიმავალ ქვეითი მეომრის ფეხთა მოძრაობა. 500 ფეხის ნაბიჯზე შესამჩნევი ხდება ფერადი ლაქები, რომელთაგანაც შედგენილია ადამიანის სხეულის გამოხატულება. 300 ფეხის ნაბიჯზე შეიძლება გაარჩიო თავისა და მხრების გამოხატულება.

200 ფეხის ნაბიჯზე—შესამჩნევი ხდება ხელები, შეიარაღება და წვრილებით და ტანისამოსი. 100 ნაბიჯზე—მოსჩანს თვალები, ცხვირი, თითები და სხვა.

მოსაჩვენარი სიდიდე (სიმაღლე და განი) საგნის, მისგან დაშორებით მცირდება იმდენჯერ, რამდენჯერაც იზრდება მანძილი. მაგალითად: ერთიდა იგივე საგანი (ხე, ბოძი, მდგომარე კაცი) 1.000 ნაბიჯზე გეჩვენება ორჯერ პატარა, ვინემ 500 ნაბიჯზე. რასაკვირველია, თვალით ასეთი ცვლილებები არ შეიძლება ზუსტად იქნას გაზომილი, რის გამოც თვალზომარი მოკლებულია საერთოდ სიზუსტეს. მაგრამ ეს ნაკლი შეიძლება შემცირებულ იქნას ზემოაღნიშნულ ვარჯიშის საშუალებით.

# ᲐᲕᲘᲐ-ᲥᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲚᲘᲡᲔ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ.

**ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲡᲓᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲐᲖᲛᲔᲑᲘ.**

საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის რთულ სისტემაში საგრძნობი როლი ეთმობა ადგილობრივ სამოქალაქო მოსახლეობის მოხალისე რაზმებს.

მოხალისე ავიაქიმ რაზმებს ევალებათ შემდეგი:

**ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲓᲠᲝᲡ.**

ა) გაეცნონ საჰაერო-ქიმიურ თავდასხმის საშუალებებს, რომლებიც შეუძლიათ იხმარონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა;

ბ) შეისწავლონ საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ყველა საშუალება და ხერხი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან მოსახლეობის დასაცავად;

გ) გააცნონ მოსახლეობა საჰაერო-ქიმიური თავდასხმის საშუალებებსა და ხერხს და ასწავლონ მას ქიმიური თავდაცვის საშუალებათა გამოყენება;

დ) ხელი შეუწყონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს მოსახლეობიან წერტების, რკინის-გზის კვანძების, სადგურების, ფაბრიკა-ქარხნების საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის მოწყობაში.

**ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ**

ა) საჰაერო თვალთვალისა და მიზან-ჩვენების სამსახური; ბ) კავშირის სამსახური და შეტყობინება განგაშის შესახებ; გ) ქიმიური თვალთვალისა და ძიების სამსახური; დ) საჰაერო-ქიმიური და შენიღბვის დისციპლინის განმტკიცებაში დახმარება; ე) საჰაერო-ქიმიური თავდასხმის შედეგების ლიკვიდაცია; ვ) საჰაერო-ქიმიური დაცვა ცალკე რაიონებისა და დაწესებულებების.

**ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐ.**

1. ავია-ქიმიური გუნდები სდგებიან ტერიტორიალურ საწარმოო პრინციპის მიხედვით (საცხოვრებელ ადგილის ან სამუშაოს მიხედვით) და ემსახურებიან განსაზღვრულ რაონს. ამას გარდა გუნდები შეიძლება შედგენილ იქნან მსხვილ საწარმო დაწესებულებასთან უკანასკნელის დასაცავად.

2· რაზმების შედგენის ადგილს, მათ რაოდენობასა და შემადგენლობას საზღვრავს ავიაქიმის ადგილობრივი ორგანო.

3. ავია-ქიმიური რაზმი ივსება მოხალისეობის საფუძვლებზე.

4. რაზმების თვითშედგენა სწარმოებს ავიაქიმის განყოფილებების მიერ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების დახმარებით. რაზმების შედგენაში უშუალო პასუხისმგებელია ავიაქიმის სათანადო განყოფილებათა მდივნები.

რაზმის შედგენას წინასწარ მიუძღვის ფართე აგიტაცია მუშამოსამსახურეებს და მოსახლეობას შორის.

5. რაზმის სათავეში ინიშნება უფროსი, რომელსაც უნდა ჰქონდეს აუცილებელი მომზადება და გავლილი სპეციალური კურსები.

მას თანაშემწედ ეძლევა ინსტრუქტორები ან მოადგილე სპეციალისტები.

6. რაზმის უფროსი და ინსტრუქტორები მუდმივი მეუფროსეთა შემადგენლობაა, მთელი დანარჩენი შემადგენლობა მშვიდობიან დროს ითვლება ცვალებად შემადგენლობად.

7. როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი შემადგენლობა რაზმისა შესდგება მსურველთაგან. მიიღებიან ავიაქიმის წევრები ორივე სქესისა.

8. ცვალებადი შემადგენლობა, რაზმში ჩარიცხვის შემდეგ, გადის სწავლების ძირითად საფეხურს ავიაქიმის ადგილობრივ განყოფილების მიერ განსაზღვრულ ვადაში.

9. სწავლების ძირითადი საფეხურის გავლის შემდეგ, ცვალებადი შემადგენლობა იცვლება ახალით, მაგრამ ხანგამოშვებ, განსაკუთრებულ ვადებში, იკრიბება დამატებითი სასწავლო შეკრებაზე.

მოხალისეთა ავია-ქიმ-რაზმს დიდი და მძიმე ამოცანა ეკისრება. მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა და საბრძოლო ოპერაციის საერთო წარმატება დამოკიდებულია მათ მომზადებასა, გმირულ მუშაობასა და დისციპლინიანობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვალებადელო მზად იყავ!

## მუშაობა შეკრებათა შორის

**ცვალებადელო, შეკრებათა შორის პერიოდში შენ უნდა გააღრმავო შენი ცოდნა. გეჭიროს კავშირი შენს ნაწილთან.**

ტერნაწილებში ნამდვილ სამხედრო სამსახურის ვადა უდრის 5 წელს, სადაც შეკრებაზე ლაშქრული წესით სწავლება არტილერიისა და ქვეითისთვის უდრის 8 თვეს; დანარჩენი 52 თვე, ცვალებადლები იმყოფებიან შვებულებაში. ამრიგად, საშუალოდ თვითეული ცვალებადელი სწავლობს თვე-ნახევარს წელიწადში და დანარჩენ დროს სცხოვრობს სახლში. შვებულებაში ცვალებადელს შეიძლება დაავიწყდეს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მას მიუღია შეკრებაზე. რომ ეს ასე არ მოხდეს და რომ ცვალებადთელმა არამც თუ არ დაივიწყოს, არამედ გააძლიეროს სამხედრო განვითარება, ამისათვის სწარმოებს მუშაობა შეკრებათა შორის პერიოდში.

### ვინ ატარებს შეკრების გარეშე მუშაობას

შეკრების გარეშე მუშაობის აუცილებლობა შეგნებული უნდა ჰქონდეს თვით ცვალებადელს. თვითეულ ცვალებადელმა უნდა მიიღოს მასში მონაწილეობა და მოემზადოს ამისთვის შეკრებებზე. შეკრების გარეშე მუშაობაში ხელმძღვანელებია, პირველ ყოვლისა ...ორის შემადგენლობა და, მეორეს მხრივ,—ცვალებადი უფშემადგენლობა და განვითარებული ამხანაგები ცვალებადელთაგან. ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული, პროფესიონალური და მუშათა ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ შეკრების გარეშე მუშაობას.

### რა უნდა აკეთოს ცვალებადელმა

პირველ ყოვლისა უნდა შექმნილ იქნას მჭიდრო კავშირი ცვალებადლებს შორის. ერთი სოფლისა და ჯარის ნაწილის ყველა ცვალებადლები მუდამ უნდა გრძნობდენ, რომ, თუმცა ისინი სცხოვრობენ სახლში, მაგრამ ითვლებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში, ვალდებული არიან გააუმჯობესონ სამხედრო ცოდნა, თვალყური ადევნონ თავისი ნაწილის ცხოვრებას და ექიროთ მასთან კავშირი.

მეორე ამოცანაა სამხედრო პოლიტიკური აღზრდა და საერთო განვითარება. ეს აუცილებელი პირობაა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრისთვის, რომელიც აძლიერებს მის ბრძოლის უნარიანობას.

შემდეგ ცვალებადელი უნდა იყოს ფიზიკურად ძლიერი, ჯანსაღი, მარდი, გამჭრიახი, ამტანი და სხვა, რის მიღწევაც შეიძლება სასპორტო მეცადინეობით და სპორტწრეების მუშაობაში მონაწილეობით.

მეოთხე ამოცანაა სროლის საქმის შესწავლა და ბოლოს მიღებულ ცოდნათა გადაცემა წვევამდლებსა და მოქალაქეებზე.

### როგორ ტარდება მუშაობა

ამ მუშაობის ჩასატარებლად ცვალებადლები კავშირდებიან სათანადო წრეებში, ატარებენ საუბრებს, იწერენ და ავრცელებენ სამხედრო გაზეთებს, ჟურნალებს, აწყობენ შეკრების გარეშე მუშაობას გაზეთებში, ატარებენ სროლას. დრო გამოშვებით სოფლად მიდიან მეთაურები, რომლებიც ინსტრუქციას აძლევენ და ამოწმებენ მუშაობას.

მთელი მუშაობა ტარდება ქოხსამკითხველოსთან და სათანადო წრეებში. სარაიონო ცენტრებში ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს ადგილობრივ სამოსწავლო წერტებში.

ა. კ.

## რა გააკეთე სახლში.

**შეკრება მოახლოებულია. ცვალებადელო, გააძლიერე მუშაობა სამხედრო კუთხეში.**

ეს საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს სულ მალე თვითეულ ცვალებადელმა. ტერნაწილების საერთო შეკრება ახლოვდება. ხოლო შეკრება, როგორც ეს ყველამ იცის, საუკეთესო გამოცდაა ცვალებადელისთვის. თუ გიმუშავია სახლში მიღებულ სამხედრო ცოდნათა გაღრმავებისთვის—სირცხვილს არ ჭამ შეკრებაზე.

თუ არ გიმუშავია და მონაწილეობა არ მიგიღია სამხედრო კუთხის მუშაობაში—ყველაფერი გავიწყდებოდა და შეკრებაზე უსათუოდ ჩამორჩები ამხანაგებს. გასულ შეკრების შემდეგ დღემდის საგრძნობლად განვითარდა სამხედრო კუთხეების მუშაობა. ცვალებადელთა საგრძნობ ნაწილს არ დაუკარგავს დრო ტყვილა-უბრალოდ და ემზადებოდა მორიგი შეკრებისთვის. ამაზე ლაპარაკობს თუნდაც ის გარემოება, რომ ბევრ სამხედრო კუთხეებში მოწყობილ იქნა ტირები (სასროლი ადგილი), სამხედრო ცოდნათა წრეები და სხვა. მოიპოვებიან ალბად ისეთი ცვალებადელებიც, რომლებსაც ყურიც არ შეურხევიათ იმისთვის, რომ შეენარჩუნებიათ მიღებული ცოდნა.

ასეთი ცვალებადელები, მართალია, ბევრი არაა, მაგრამ ისინი მომავალ შეკრებაზე უსათუოდ შეაფერხებენ თავისი ამხანაგების წინსვლას სწავლებაშიც, ამით ისინი შეაფერხებენ ჩვენი ტერიტორიალური არმიის შემდეგ განმტკიცებას.

ჯერ კიდევ, თუმცა დიდი არა, მაგრამ მაინცაა დარჩენილი შეკრებამდი ერთგვარი დრო. ეს ვადა მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული შეკრებისთვის მოსამზადებლად.

მთელის ენერგიით უნდა დავაწყოთ მუშაობას სამხედრო კუთხეში, რათა მომავალ შეკრებაზე არავინ ჩამორჩეს.

ვ—კი.

## მოუფრთხილდი წიგნს.

**მე-4 ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონი შესდგება სხვა და სხვა ეროვნების წითელარმიელთაგან. ბიბლიოთეკას საკმარისად ყავს წიგნის მკითხველები: ქართველები, რუსები, სომხები და სხვა; საკმაოდ მოეპოვება აგრეთვე ყოველგვარი ლიტერატურა. მაგრამ ჩვენ მკითხველთა უმცირესობას ახასიათებს წიგნის მოფრთხილებაში დაუდევრობა. ზოგი წიგნებზე ჯღაბნის, ზოგი წიგნის ფურცლებს ხევს, ზოგიც თავის დროზე არ აბრუნებს და სხვა. წიგნის მკითხველს დიდი სიფრთხილე მართებს და უნდა ახსოვდეს რომ, თუ წიგნი მალე გაფუჭდა, ის მალე შემოგვაკლდება, ახალი იშვიათად გამოდის და მასთან მისი შეძენაც ხარჯებს მოითხოვს. გაუფრთხილდით წიგნს, ნუ დახევთ, ნუ დასჭუჭყიანებთ და თავის დროზე დააბრუნეთ, რომ სხვებმაც წაიკითხონ. აი რა უნდა ახსოვდეს თვითეულ მკითხველს.

ოდიხეი.

# მანევრები დაიწყო. სამხკორო მოიწერე როგორ მიმდინარეობს ის!

## მანევრებზე რუს მეომრებთან ერთად.

**1-ლ დივ. ცალკე მესანგრე ასეული.**

10 აგვისტოს ჩვენი ასეული, რუსულ ასეულთან ერთად ვიყავით მანევრებზე. მანევრების დროს ბევრ შეცდომებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ შეცდომებსაც მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან მომავალში ისინი გაკვეთილად გამოგვადგება. უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი მხარეებიც ბევრი იყო. წითელარმიელებმა დიდი დისციპლინა გამოიჩინეს როგორც სამხედრო მოქმედებაში, ისე გლეხების ნათესებსა და ბაღბოსტნებზე მოფრთხილების მხრივ. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამ მხრივ წესრიგი დარღვეულიყოს. შესვენებებზე ვმართავდით გლეხებთან საუბრებს სხვა და სხვა საკითხებზე, ვეცნობოდით მათ მეურნეობას, გამოუშვით კედლის გაზეთი. შემდეგი მანევრებისათვის ჩვენი ასეული უფრო მომზადებული გვყავს და წარმოდგენის გამართვასაც შევსძლებთ სოფლად. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელარმიელებში რუს და ქართველ მეომართა შეერთებულმა მოქმედებამ.

ლ. ცინცაძე.

## რა გავაკეთეთ სამ თვეში.

**ქართ. სამხ. პოლიტსკოლა.**

ამ სამი თვის განმავლობაში ჩვენმა კურსანტებმა ბევრი რამ შეიძინეს პრაქტიკულად. განსაკუთრებით კარგი შედეგი დასტოვა ტაქტიკურმა და სროლის მეცადინეობამ, რაც სინამდვილეში დამტკიცდა უკანასკნელ მანევრებზე. 7 აგვისტოდან დაიწყო მანევრები. ნაწილი ჩვენი კურსანტებისა გაგზავნილ იქნა ჩვენს მოწინააღმდეგე ქართ. მეთაურთა სკოლასთან და ნაწილიც მათი გამოგზავნილ იქნა ჩვენთან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კურსანტისთვის ასეთი მანევრები პირველი იყო, მათ მაინც არ დასტყობიათ დაღლილობა. 11 აგვისტოს დამთავრდა მანევრები, რის შემდეგ ყველანი გამოვეშურეთ ჩვენს სამი თვით ობლათ მიტოვებულ სკოლებში.

ტფილისში ხშირათ გვაგონდება ბანაკის ფიჭვნარი და ცივი ანკარა წყაროები. გვაგონდება ის სოფლები, სადაც სიტყვა კომუნისტური პარტიაც კი არ იცოდენ რა იყო. ბევრი გააკეთა ჩვენმა სკოლამ სოფლად. ერთხელ და სამუდამოდ აუხილა თვალი სოფელს და გააცოცხლა ის.

ჩვენი მუშაობა ალბად სამუდამოდ დაამახსოვრდება იქაურ მცხოვრებლებს.

15 აგვისტოდან ჩვენი უმცროსი კურსის კურსანტები გაიყვენ სამ ნაწილათ; ნაწილი წავიდა შვებულებაში, ნაწილი მოსკოვში ექსკურსიაზედ და ნაწილიც სკოლაში დარჩა. უფროსი კურსანტები უკვე წავიდენ ნაწილებში პრაქტიკაზედ. ესენი წელს უკვე ათავებენ და შეავსებენ ჩვენ წით. პოლიტ-მეთაურების რიგებს.

ჩვენ უმცროსი კურსის კურსანტებს საკმაო დრო გვაქვს. ამ უკანასკნელ დროს სხვადასხვა ზომების მიღების შემდეგ გვაქვს სათანადო გარანტია, რომ ჩვენ აღვიზრდებით ისე, როგორც ნამდვილი წით. პოლიტიკური მუშაკები და შევსძლებთ დახმარება გაუწიოთ მათ, ვინც ჩვენი გულისათვის სამი წლის განმავლობაში უამრავი შრომა და ენერგია დახარჯა.

საწირელი.

## თვალი ამიხილა წითელ ყაზარმამ

წითელ ჯარში რომ გამიწვიეს (1924 წელში), წერა-კითხვა არ მესმოდა. არავითარი წარმოდგენა არ მქონია აგრეთვე ჩვენი სახელმწიფოს წესწყობილებასა და ხელისუფლებაზე. წერა-კითხვა პირველად პოლიტხელმა დამაწყებინა. ორ თვეში შევისწავლე წერა და გაზეთის კითხვა. მალე გადავედი პატარა ბროშურებზე. არ დავკლებივარ არც ერთი დარგის მეცადინეობას. მაინტერესებდა ყველაფერი და საკმაოდაც გავერკვი სხვა და სხვა საკითხებში. დღეს ვიცი ვინაა ჩვენი მტერი და მოყვარე. მე დღეს სამხკორი ვარ, ხშირად ვსწერ გაზეთში.

უღრმესი მადლობა ჩემს პოლიტხელს, რომელმაც პირველად დამაწყებინა სწავლა.

წითელო ყაზარმავ, ჩემო სკოლავ,—არასოდეს არ დაგივიწყებ და რაც მასწავლე და დამაბარე, ყველაფერს გადავსცემ სოფელს.

პ. კახიძე.

## ჩვენ მალე წავალთ, მაგრამ არასოდეს არ დაგვავიწყდება.

**1-ლი ლეგიონის ბატარეია**

ჩვენ 1924 წლის შემოდგომაზე გამოწვეულები მალე გავეშურებით სოფლებისაკენ გრძელვადიან შვებულებაში. მალე ვნახავთ ჩვენს კარმიდამოს, სოფელს. მაგრამ ჩვენ ვნახავთ და წინ გვიძევს აგრეთვე დიდი მუშაობა განახლების გზაზე შემდგარ ზოფელში. დღევანდელ სოფელს დიდი მოთხოვნილება აქვს. ყოველი, შვებულებაში წასული წითელარმიელი უნდა სცდილობდეს, რომ რამოდენიმედ დააკმაყოფილოს სოფლის ძლიერი მოთხოვნილება. ხოლო ეს კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ რომ შვებული, ყაზარმაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას უქმად არ გააჩერებს და გადასცემს მოძმე გლეხებს.

ჩვენ მალე წავალთ, მაგრამ არ დაგვავიწყდება ჩვენი წითელი ყაზარმის სტუმართმოყვარეობა და საჭიროების დროს მუდამ მზად ვიქნებით დავუბრუნდეთ მის კედლებს, სადაც ჩვენ ვისწავლეთ წერა-კითხვა, სროლა და სადაც ჩვენ გავიცანით მტერი და მოყვარე.

შ. ჩადუნელი.

## ძლვნად გორს

მოჰქრის ლიახვი ფაფარ აყრილი,
ქოჩორს უვარცხნის ჩუქურთმა ბალღებს,
თეთრ წვერა კარვებს მზე გადახრილი
მხურვალე კოცნით კოცნის უჩალებს.

— —

ხავერდის კალთებს ვარდები ჩითავს,
მიიკარგება სადღაც ბილიკი,
და მზის ქალწული ყვავილებს ზიდავს—
მზეს რომ მიუძღვნას მზიურ ციგლიგით.

— —

აკუნთულ ზღაპრებს ცრემლი სდის ხევში
თავის წარსულის ჩამონაგორი
და მზის ქალწულის წითელ სახევეში
ფერდებს ისწორებს ქალაქი გორი.

— —

წითელ მხედრების ისმის ყიჟინა,
უკრიმანჭულებს ქამანჩა—თარი
და ეს ლიახვიც ისე მოქრის, რომ
როგორც დაჭრილი ველზე აფთარი

— —

ფერად ხსოვნაში ჩუქურთმა გორო,
ხავერდის ყდაზე დარჩები ნაზად,
ეს მცირე ლექსი მხედრულ ამბორით
ცხენლეგიონმა შემოგთავაზა.

დ. ხაზალია.

## ხშირად ასეთი ექსკურსია

**1-ლი ლეგ. 1-ლი ათასეული**

კვირას, ჩვენი მეთაურების ხელმძღვანელობით მოვაწყვეთ ექსკურსია სხვა და სხვა ადგილზე. პირველად მივედით დიდუბის ელექტრო სადგურში. სადგურის მოწყობილობასა და მანქანების ცალკე ნაწილების დანიშნულებას გვიხსნიდა ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები. შემდეგ მივედით ტრამვაის ქარხანაში. აქ ტრამვაის ინსტრუქტორებმა დაწვრილებით გაგვაცნეს სხვადასხვა მანქანების მოძრაობას.

შემდეგ ვინახულეთ ცხენთსაშენი, სადაც ვნახეთ სხვა და სხვა ჯიშის ცხენები. საჯინიბოს გამგემ მოგვცა თვითეული ჯიშის დახასიათება, თუ რომელია საჯდომი, შესაბმელი, ცირკში მოთამაშე და სხვა. აქ დავეწყვეთ და დავბრუნდით ყაზარმაში.

ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მონაწილეებზე.

კარგი იქნება ხშირად მოეწყობოდეს ასეთი ექსკურსიები, რათა ჩვენს სახელმწიფო აღმშენებლობას გაეცნოს წითელარმიელთა უფრო მეტი ფართო მასები.

ნ. კაველიძე.

## ჩვენი ჯგუფი კარგად მუშაობს.

**მე-5 ლეგიონი**

მე-7 ასეულში არსებობს კომუჯრედის დამხმარე ა. ლ. კ. კ. მე-5 ჯგუფი, რომელიც დაარსდა 1903 წელში დაბადებულ ახალწვეულების წითელ ყაზარმაში შეკრებისთანავე. ჯგუფი აერთიანებს 8 ა. ლ. კ. კ-ს წევრსა და 4 პარტიის კანდიდატს. ის დღიდან დაარსებისა ენერგიულად მუშაობს როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეშე მეცადინეობაში; ენერგიულ ხელმძღვანელობას უწევს ლენკუთხეში მეცადინეობას, როგორიცაა გაზეთის ხმამაღალი კითხვა და სხვა. კვირაში ორხელ იმართება სამეცადინო კრება, რომელზედაც უპარტიონიც საკმაოდ ესწრებიან. საორგანიზაციო კრება იმართება ყოველ თუთხმეტ დღეში ერთხელ, სადაც ირჩევა სხვადასხვა ორგანიზაციული კითხვები. გვაქვს მტკიცე კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციასთან, სადაც იმართება საერთო კრებები და ვეცნობით ერთმანეთის მუშაობას. კავშირისთვის გამოყოფილი გვყავს ერთი ამხანაგი, აგრეთვე აქტივ ამხანაგებზე არის მიცემული სხვადასხვა დავალებები, რასაც ისინი პირნათლად ასრულებენ, რაც დაამტკიცა მათი მუშაობის ამ ბოლო დროს განხილვამ. უნდა ითქვას, რომ ა. ლ. კ. კ. მე-5 ჯგუფის მუშაობა ნაყოფიერია, რაც მიეწერება ორგანიზატორ ამხ. ჯღარკავას ენერგიულ მუშაობას. უსურვებთ ა. ლ. კ. კ. მე-5 ჯგუფს კიდევ მეტ ენერგიულ მუშაობას.

უტყუარი.

## სამხკორთა ხმამ გასჭრა

### გამოძიება სწარმოებს

ჩვენი გაზეთის 143 ნომერში მოთავსებულია ცნობა—„ასეთები შორს ჩვენი რიგებიდან“. ამ ცნობაში ნათქვამია იმის შესახებ, თუ როგორ დაითრო ორი კომკავშირელი წითელი არმიელი სოფლად და თავიანთი უმსგავსო საქციელით დიდი აღშფოთება გამოიწვიეს მცხოვრებლებში.

ამ საქმეზე პროკურატურამ უკვე მიიღო ზომები.

### ზომები მიღებულია

გაზ. „წითელ არმიელის 144 №-ში მოთავსებული ცნობის—ჩვენც მოგვხედეთ-ს შესახებ, სამხედრო პროკურატურის განკარგულებით, უკვე სწარმოებს კვლევა-ძიება.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### შეისწავლეთ პლენუმის გადაწყვეტილებანი

სკპ (ბ)-ს ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმმა მიიღო საყურადღებო გადაწყვეტილებათა მთელი რიგი. თუ რომ ამ გადაწყვეტილებებს ამჟამად სწავლობს მთელი ჩვენი პარტია, და მასთან ერთად კომკავშირი, მით უფრო საჭიროა მათი შესწავლა შვებულ პარტიულთა და კომკავშირელთათვის.

საჭიროა ეს იმიტომ, რათა სწორი პასუხი მისცეს შვებულმა, როცა მას შეეკითხება გლეხი,—რათა აუხსნას სოფელს, რას გააკეთებს ჩვენი პარტია შემდეგში და სხვა.

შვებული, სახლში დაბრუნების შემდეგ, შეხვდება, მაგალითად, ასეთ უსაფუძვლო ხმებს, რომ—პარტიაში რაღაც ვერაა საქმე კარგად; პარტია ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ღარიბებს, უნდათ წაიღონ მოსავალი, ხოლო საქონელს არ იძლევიანო და სხვა.

სოფლის ძირითადი მასა ასეთ საკითხებს დააყენებს არა ბოროტი განზრახვით, არამედ გაუგებრობის გამო.

გლეხებს ამ მხრივ დახმარება უნდა გაუწიონ პირველ რიგში შვებულ პარტიულმა და კომკავშირელებმა, ხოლო შემდეგ აქტიურ წითელარმიელებმა, რომლებიც შვებულებაში იქნებიან.

ამათ უნდა გაჰფანტონ სოფლად ყოველგვარი ყალბი ხმები.

ამათ უნდა დაანახონ სოფელს, თუ როგორ იცავს პარტია, კერძოდ ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმი, ლენინის ანდერძებს, როგორ სცდილობს პარტია განამტკიცოს და გააძლიეროს მუშებისა და გლეხების კავშირი.

შვებული პარტიული და კომკავშირელი უნდა სცდილობდეს აუხსნან გლეხს, თუ როგორ სცდილობს პარტია და ხელისუფლება, რათა გლეხობამ უკეთესად მოიხმაროს თავისი ახალი მოსავალი, თუ როგორ სცდილობს დაუკლოს ფასები სამრეწველო საქონელს, გახსნას სესხი და გააძლიეროს ქალაქის საქონლის სოფლად გაგზავნა.

პარტიულებს, კომკავშირლებს და შვებულ წითელარმიელებს ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს პარტ-უჯრედი გაერთიანებული პლენუმის დადგენილებათა შესწავლაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო საკითხების გარჩევას, რომლებიც პლენუმის დღის წესრიგში იყო.

შვებულები მომარაგებული უნდა იქნან რეზოლიუციებით პურის დამმზადებელ კომპანიებისა და საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ. უნდა აეხსნან მათ ყველა ძნელი საკითხები პლენუმის გადაწყვეტილებებში.

თვით შვებულებმა კი უნდა გაამორჩეონ ენერგია ამ გადაწყვეტილებათა დამუშავებაში.

კ—ი.

### კომკავშირი და ლენკუთხე მე-7 ასეულში

(5-ე ლეგიონი)

დიდი ხანი არაა, რაც გურიის ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი იქნა გამოყვანილი მცირე ვადით ჯარში. ამ ახალგაზრდობას გამოყვა აგრეთვე საკმაო რიცხვი ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის წევრებისა და პარტ.კანდიდატების. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწილს ახალგაზრდობისა უხდებოდა მუშაობა ბევრ დაბრკოლებებში: ბინის, ლიტერატურის და სხვათა უქონლობის გამო.

მათი მოსვლისთანავე დაარსებული იქნა კომუჯრედის დამხმარე ა. ლ. კ. კ. მე-5 ჯგუფი, სადაც გამოყოფილი იქნა უფრო აქტიური ამხანაგები, განაწილდა სხვა და სხვა დავალებები: ლენკუთხის მოვლა, სამხედრო კუთხის ხელმძღვანელობა, გაზეთის ხმამაღალი კითხვა და სხვა. ამხანაგები ენერგიულად შეუდგენ დავალებების შესრულებას.

კვირაში სამხელ მოუხმობდენ წითელ არმიელებს ლენკუთხეში და ატარებდენ წინად არჩეულსა და შესწავლილ საუბარს· ასეთ საუბრებს ესწრებოდენ ყველა კომკავშირელი და კამათით მაგალითს აძლევდა სხვა უპარტიო წითელ არმიელებს. უპარტიო წ. არმიელები დიდი ყურადღებით ეპყრობიან ამ საქმეს, ყველა დაინტერესებულია რაიმე შეიძინოს აქ. ა.ლ.კ. კ. მე-5 ჯგუფმა შესძლო ბევრი უცოდინარი წ. არმიელის დაინტერესება ლენკუთხეში მუშაობით, რამაც ძლიერ დააჩქარა და ხელი შეუწყო ახალწვეულების პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდაციას.

უტყუარი.

### შვებული და 1904 წლიანთა გაწვევა.

ბევრი უვადო შვებულებაში წასული წითელარმიელი ჩაუსწრებს სოფელში 1904 წელში დაბადებულთა გამოწვევას. ბევრი შვებული მიუსწრებს თავის ცვლას სოფლად.

ამიტომ შვებულს შეუძლია დახმარება გაუწიოს გაწვევის ჩატარებას. თავის, პირადი გამოცდილებით შვებულმა იცის, თუ რა ძნელია პირველი ნაბიჯი ყაზარმაში. გასაწვევი ამისთვის მომზადებული უნდა იქნას. ყველაზე უკეთ ამის შესრულება შეუძლია შვებულს.

გასული წლის მაგალითი გვიჩვენებს, ახალწვეულებმა არ იციან კარანტინის მნიშვნელობა და ღებულობენ მას მუდმივ ყაზარმად. ხოლო ვინაიდან კარანტინში უფრო ცუდი გარემოებაა ვიდრე ყაზარმაში, გაწვეული რაღაც გაუგებრობაში ვარდება.

შემდეგ: ახალწვეულს არმააში წასვლისას უნდა ჰქონდეს წარმოდგენა დისციპლინაზე. შვებულს, რომელსაც გაუვლია დისციპლინისა და საბრძოლო აღზრდის სკოლა, შეუძლია მისცეს საჭირო ახსნა თავის ცვლას.

გარდა ამისა შვებული უნდა ებრძოდეს ძველი სალდათობის ნაშთებს. თუ რომ ცარიზმის დროს ჯარისკაცის სამსახური ძნელი იყო და ამისთვის ის გაწვევის წინ უკანასკნელ დღეებს ლოთობასა და „ქეიფს“ ანდომებდა,—ეხლა ის გარემოება აღარაა.

დღევანდელ პირობებში, როცა სამსახურის ვადა შემცირებულია, არის ფართე შეღავათები, ტერსისტემა, წითელარმიელსა და მეთაურს შორის კარგი განწყობილება და ბევრი რამ სხვა,—ლოთობასა და უწესოებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

რ. მ.

## პასუხი შეკითხვებზე

— რობიტაშვილს. ტრაქტორის კურსებზე აგზავნიან ორგანიზაციები, რომელთაც სურთ ტრაქტორის შეძენა.

— ცხრა წყაროელს. ზედმეტ მსახურათ დარჩენა შეიძლება არა ნაკლებ ერთი წლისა და ისიც უფროსის თანხმობით.

— ელ—შვილს. მაზარა მოგეცემათ ორი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

— ყუფარაძეს. თუ თავისუფალი იქნა უნდა მოგეცეთ თქვენი ძველი ადგილი პირველ რიგში.

— ელბაქიძეს. დღიდან შტატში გატარებისა ჯამაგირი გეკუთვნით. მაზარა შემოდგომაზე მოგეცემათ.

— ზ. კ—ს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნა გეთვლებათ ნამდვილ სამსახურათ.

— მასვე. ტანისამოსი თქვენზე ითვლება, ვინაიდან ის თქვენ არ ჩაგიბარებიათ.

— მიშას. წაიკითხეთ რობიტაშვილის პასუხი.

— მსურველს. სამხ·-საინჟენერო სასწ. გასაგზავნთა კანდიდატობა არ განთავისუფლებთ განწესებიდან.

— ბაზაძეს. თქვენს მეუღლეს შეუძლია გაასაჩივროს კავშირში.

— წყლისპირელს. მიწის ჩამორთმევა არ შეეძლოთ. თქვენ სრული უფლება გაქვთ გასცეთ თქვენი მიწა იჯარით, სანამ სამხედრო სამსახურში ხართ.

— ტყემალაძეს. თუ ფულის მოცემის უფლებას არ აქვს თქვენი ძმის მცირე წლოვანობის გამო, მაშინ სახლი რა უფლებით იყიდა. მიმართეთ პროკურორს მაზრაში, საიდანაც ხართ.

— ძნელაძეს. სახელმწიფო დაზღვევის ოზურგეთის სააგენტო უკვე შეუდგა ჭირის მიერ დახოცილ საქონლის ფასის მიცემას 30—40 მან., სადაც უნდა მიმართოთ.

— მაღრაძეს. თქვენი დატოვება ზედმეტ მსახურათ დამოკიდებულია თქვენს უფროსზე.

— დემუროვს. თქვენი შეკითხვა გადაუგზავნეთ სამხედრო პროკურორს.

— ჭიჭინაძეს. სამხედრო უწყებიდან წითელ არმიელებს არ ეძლევათ დახმარება მამის ან დედის დასასაფლავებლად.

— ლომიძეს. „ბატინკები“ არ მოგეცემათ, რადგან თქვენ ჩექმები მიგიღიათ.

— სიმონ ლ—ძეს. პირველი საფეხურის სკოლის მეორე ჯგუფის კურსის ცოდნაა საჭირო.

— ფიცხალაურს. უნდა იმსახუროთ სამი წელიწადი, ვინაიდან თქვენ სამჭედლო კურსები დაგიმთავრებიათ. არ ითვლებით ზედმეტ მსახურათ.

— ნაკაიძეს. პირველი ხარისხის შეღავათებით სარგებლობთ.თქვენი ნაწილის საშუალებით მიმართეთ მთავარ მიმღებ კომისიას ყოველივე საბუთების წარდგენით.

— სიმონ ტ—ს. წაიკითხეთ ფიცხალაურის პასუხი.

— სიჭინავას. უნდა მიმართოთ სახელმწიფო დაზღვევის იმ სამაზრო სააგენტოს, საიდანაც თქვენ ხართ.

— ზენიშვილს. გამოცდებს თუ არ ჩააბარებთ საშუალო მეთაურზე, მაშინ უნდა იმსახუროთ ორი წელი.

— ბლიკაძეს. მაზარა, ხმარებისათვის ვარგისი, მოგეცემათ შვებულებაში წასვლის დროს.

— ახილაძეს. ტყიდან მასალა მოგეცემათ 25—75 პროც. დაკლებულ ფასებში ან სრულიად უფასოდ.

— ხასქაძეს. ლეგიონი თუ იძენს ტრაქტორს, მაშინ შეუძლია გაგაგზავნოს ტრაქტორის კურსებზე.

— გოზოზაშვილს. როგორც მოხალისე შემოდგომაზე განთავისუფლებული იქნებით სამსახურიდან. ზედმეტ მსახურათ დარჩენის შესახებ მიმართეთ უფროსს.

— დეისაძეს. შვებულებაში წასვლის დროს მოგეცემათ ხმარებისათვის ვარგისი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.

— მ. ფ—ურს. უნდა მიმართოთ მაზრის სატყეო განყოფილებას, რომელმაც უნდა დაგითმოს მასალა 25—75 პროც. დაკლებულ ფასებში.

— ტერარმიელს. თანახმად სავალდებულო სამხ. სამსახურის წესდებისა თქვენ სტუდენტობა არ განთავისუფლებთ საერთო შეკრებიდან.

## ჩვენი ფოსტა

დენთს. ყურადღების ღირსია—ადგილობრივ კედლის გაზეთისთვის გამოდგება.

ჭალისხეველს. ბატარეის ცხოვრებიდან—არ წავა. თქვენ სხვებს ამხელთ სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნებაში, მაგრამ არც თქვენი წერილი იცავს საიდუმლოებას.

ტ. მ—ძეს. მცირე მანევრები—არ წავა. ამ მანევრებზე უკვე იყო წერილი თქვენი ნაწილიდან. გამოგზავნეთ სხვა ცნობა, მოკლედ—ნუ გააჭიანურებთ.

გ. კეკელიას. გაზეთი გაიგზავნება პირველ სექტემბრიდან.

ვ. გოგლოძეს. ქების წერილები არ დაიბეჭდება.

ქ. მ. ს. სამხკორ ტიკჭორას საპასუხოდ—არ წავა, არაა საჭირო.

მცირე მცოდნეს—ათეულის მეთაურია, თუ ძველი დესპოტი—გადაეგზავნა ლეგიონის უფროსს.

გ. ქ. პარტიის მთლიანობისათვის—არ გავა. ასეთი უკვე იყო მოთავსებული.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ქართული ცხენოსანი ლეგიონის 1-ლ ესკადრონის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ჩიხლაძე ივანეს (წითელი მეთაური), 2. დარჯანია გრიგორის (წით. არმ.), 3. მიქავა ვლადიმერს, 4. ოდიშარია ვარლამს, 5. გვაზავა ვალერიანს, 6. გრძელიშვილი გრიგორს, 7. კაკულია ნიკოლოზს, 8. ღვინჯილია ვარლამს, 9. ნადირაძე სპირიდონს, 10. წიქარიშვილი დავითს, 11. ჯოხაძე ვლადიმერს და 12. ვარდია არტემს.

ამათგან ჩიხლაძე ივანე არის ა. ლ. კ. კ. წევრი დანარჩენები კი არიან უპარტიოები.

თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემოთ დასახელებულ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ, 1-ლი ესკადრონის კომუჯრედის ბიურო გთხოვთ გვაცნობოთ 15 დღის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისა, ზემო დასახელებული მისამართით.

1-ლი კომუჯრედის ბიურო.

---

მე-2 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-4 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტ.კანდიდატად მიღების შასახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. ასაევ შალვა ანტონის-ძეს (წ.არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1921 წ. ქ. ცხინვალიდან) 2. ლომიძე სვიმონ ივანეს-ძეს (უნცროსი მეთაური, ა. ლ. კ. კ. წევრი 1925 წ. ქ. გორიდან) 3. შინჯიაშვილი ნიკა სოლომონის-ძეს (წ.არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1924 წ. სიღნაღის მაზრიდან), 4. ხარბეგაშვილი არშაკ იოსების-ძეს (წ.არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1924 წლ. ქ. გორიდან), 5. ხატისკაცი ნიკოლოზ მიხეილის-ძეს (წ. არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1923 წლ. ქ. გორიდან), 6. ფილიევ ტუგან ნიკოსძე (წ.არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1921 წლ. ცხინვალის მაზრის მცხ.), 7. ზასოხოვ ივანე სოლოს ძე (წ.არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1921 წლ. ქ. ცხინვალიდან), 8. გუჩმაზოვ ილია შუკას ძე (წ.არმ. ა.ლ.კ.კ. წევრი 1924 წლ. ცხინვალის მაზრის მცხოვრები).

თუ ვინმეს გაქვთ საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხანაგებზე, უჯრედი გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში.

---

მე-6 ქ. მ. ლეგსკოლის უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. სიმონიშვილი ივანე (მეთაური), 2. კაიშაური არჩილი (მეთაური) თუ ვისმეს აქვს საწინააღმდეგო პარტიაში მათი მიღების შესახებ, გვაცნობონ 10 განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

უჯრედის პ. მ. მდივანი

---

მე-2 ლეგიონის 2-ე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კ. პ. კანდიდატობიდან წევრათ გადარიცხვის შესახებ ოცეულის მეთაურს ვლადიმერ ილარიონის-ძე ნიკურაძეს (მცხ. ქუთაისის მაზრის ს. კულაშში) თუ ვისმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი კაკაბაძე.

---

მე-2 არტლეგიონის ქუთაისში მდგომ 1-ლი დივიზიონის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტ-კანდიდატს ამხ. ნიკოლოზ ივანეს-ძე ხარატაშვილს პარტ-წევრად გადარიცხვის შესახებ და ამხ. პავლე ერმალოს-ძე ჩიტიანს (უპარტიო წ. არმიელი), რომელიც თხოულობს პარტ-კანდიდატად მიღებას.

თუ ვისმეს გაქვთ საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ 7 დღის განმავლობაში ქ. ქუთაისში 1-ლი დივიზიონის კომუჯრედში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი იმედაძე.

---

მე-4 ქ. მსრ. ლეგიონის მე-4 ასეულის № 4 კ. უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კანდიდატებს პარტიაში მიღების შესახებ:

1. მე-6 ასეულის ოც. მეთ. ამხ. ანტონ კონსტანტინეს ძე ჩხაიძეს (ოზურგეთის მაზრის ს. აცანის მცხოვრები); 2. მე-6 ასეულის ზემდეგს ამხ. ილია ფილიპეს-ძე ჯინჭარაძეს (ოზურგეთის მაზრის ს. ერკეთის მცხოვრები). 3. კ. კ. წევრს ვასილი გიორგის-ძე მაღრაძეს კ. პ. კ. გადასარიცხავად (ახალქალაქის მაზრის ს. საროში მხც.) მე-4 ასეულიდან წ.არმ. კ. კ. წევრს ნიკოლოზ სტეფანეს-ძეს ჭაფოძეს (ქუთაისის მაზრა ს. სალხინოს მცხოვრები).

თუ რამე იცით უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამხანაგებზე, გვაცნობეთ ათი დღის განმავლობაში ზემოაღნიშნულ უჯრედის მისამართზე.

უჯრედის მდივანე ლ. ჭელიძე.

---


## თბილისის გარნიზონში მყოფ ნაწილების საყურადღებოთ!!!

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია ამით აცხადებს, რომ ექსპედიციაში გაზეთების გაცემა თბილისის ნაწილებისათვის სწარმოებს კვირაობით დილის 8 საათიდან 10 საათამდე, დანარჩენ დღეებში კი დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე, რის შემდეგ გაზეთების გაცემა წყდება.

ამიტომ რედაქცია სთხოვს ნაწილებს თავის დროზე წაიღონ კუთვნილი რაოდენობა გაზეთებისა.

გაზ. „წითელ არმიელი“-ს რედაქცია.

---

**დაიკარგა** ახალგაზრდა კომკავშირის წიგნაკი № 16304, გაცემული ქ. ტფილისის მე-4 რაიკომიდან სერგო საამოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** წითელ არმიელის წიგნაკი იაკობ ვასილის-ძე კამიშენის სახელზე, მოცემული 2-ე დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად.


ნ. ღ. ს. ტ. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.